წარმომადგენლობითი საბჭოს
გადაწყვეტილება № 7-07
06 05 2022წ.

გორი

სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალის პედაგოგიური დატვირთვის სქემაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის ,,ნ" ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 8 თებერვლის N63 დადგენილების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-12 მუხლის პირველი პუნქტის ,,ო" ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2022 წლის 25 თებერვლის N6-10 დადგენილების საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალის პედაგოგიური დატვირთვის სქემაში შეტანილ იქნეს ცვლილება, სქემას დაემატოს კომპონენტი ,,სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობა" და ამავე კომპონენტისათვის განისაზღვროს დატვირთვა 50 საათის ოდენობით, ხოლო აღნიშნული დატვირთვის წლიურ ლიმიტად განისაზღვროს 150 საათი.
2. წინამდებარე გადაწყვეტილებით განსაზღვრული ცვლილება ამოქმედდეს გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სახედ „უნივერსიტეტის" განსაზღვრის შემდგომ.
3. კანცელარიის უფროსს დაევალოს ეს გადაწყვეტილება განათავსოს ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას.
4. ეს გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.
5. წინამდებარე გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

სპიკერი კარლო ცერცვაძე